აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების „არასაოპერაციო ხარჯში“.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული და სხვა პროგრამული უზრუნველყოფით. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია 5-6 წლით.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის დგინდება არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება

ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შედარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და ჯგუფის საღაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება დაანგარიშებულია საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შემოსავალი, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც

საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

გრანტები. გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარდება მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) პირველადი ადაპტაცია

ჯგუფის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 01 იანვარი.

4. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრსა განსჯის საკითხია და ეფუძნება ანალოგიურ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საექვო ვალების რეზერვი. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის რომ საექვო ვალების წარდგენილი მონაცემები 460 ათასი ლარი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის და 686 ათასი ლარი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა განმარტებითი შენიშვნა 8).

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

5. წინა პერიოდის გადაანგარიშებები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კორექტირება

	31 დეკემბერი 2022	კორექტირება	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	კომენტარი
ადმინისტრაციული და სხვა საერთო	10,961	(469)	11,430	
გაუნაწილებელი მოგება	22,779	(469)	22,310	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,022	(449)	573	

ა. შვილობილი კომპანიის გუდვილის გაუფასურების კორექტირება არ აისახა კაპიტალში

ბ. ჯგუფთაშორის ბალანსების წინა წლის ელიმინაციის კორექტირება

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები და ნაგებობები	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	მანქანები და დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	საბიბლიოთეკო ფონდი	სულ
31.12.2021	2,494	7,665	4,958	1,046	2,328	557	587	19,635
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	593	880	1,112	632	56	424	3,697
გაყიდვები ჩამოწერა	-	(112)	-	(3)	(129)	(25)	(46)	(315)
31.12.2022	2,494	8,146	5,838	2,155	2,831	588	965	23,017
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	1,250	3,356	1,283	1,474	942	242	8,547
შვილობილის აქტივები საბ. ღირ.	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2023	2,494	9,396	9,194	3,438	4,305	1,530	1,207	31,564
ცვეთა და გაუფასურება								
31.12.2021	-	(1,327)	(1,039)	(344)	(991)	(145)	(126)	(3,972)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(171)	(232)	(169)	(284)	(63)	(79)	(998)
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	3	50	76	9	-	138
31.12.2022	-	(1,498)	(1,268)	(463)	(1,199)	(199)	(205)	(4,832)
მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი	-	(184)	(211)	(397)	(548)	(5)	(144)	(1,489)
გასვლის მომენტში არსებული დაგროვილი ცვეთა	-	-	-	4	-	1	-	5
31.12.2023	-	(1,682)	(1,479)	(856)	(1,747)	(203)	(349)	(6,316)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,494	6,648	4,570	1,692	1,632	389	760	18,185
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,494	7,714	7,715	2,582	2,558	1,327	858	25,248

- ❖ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 17,923 ათასი ლარი წარმოადგენს ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ.

ჯგუფის საკუთრებაში არსებულ არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს საბუღალტრო და საგამოცდო პროგრამები და ელექტრონული WEB გვერდი.

7. ინვესტიციები ა (ა) იპ და მეკავშირე კომპანიებში

	წილი %	31.12.2023	31.12.2022
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	20%	316	303
ინვესტიციები ა (ა) იპ	-	114	114
სულ:		430	417

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,180	1,299
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	(460)	(686)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	424	37
სასესხო მოთხოვნები	-	372
საერთო ჯამში:	1,144	1,022

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	89	242
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	4,997	4,369
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	18	5
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	350	811
საერთო ჯამში:	5,454	5,427

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

	დასრულების თარიღი	ვალუტა	გრძელვადიანი/მოკლევადიანი	
			31.12.2023	31.12.2022
სს „თიბისი ბანკი“	08/04/2025	USD	4,197	4,225
სს „თიბისი ბანკი“ საკრედიტო ხაზი			8,000	-
გადასახდელი პროცენტი			-	544
სულ სასესხო ვალდებულება			12,197	4,769

საბანკო სესხებიდან გამომდინარე სხვა ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები

თიბისი ბანკთან არსებული სესხის მიხედვით კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებები. კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

ფინანსური შეზღუდვები	ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები
Ebitda-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1,2 დონეზე
Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1,1 დონეზე
Debt/Ebitda-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი	3,0 დონეზე

კომპანია შესაბამისობაშია ამ მოთხოვნებთან და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია ბლოკირებული თანხა სს „თიბისი ბანკში“.

კრედიტის მიზნობრიობაა ძირითადი საშუალებების ფინანსირება და სხვა ბანკის ვალდებულებების რეფინანსირება.

კომპანიის შვილობილ საწარმოს (ა(ა)იპ-ს) სს თიბისი ბანკისგან აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება შეადგენს 21,960 ათას ლარს, ხოლო 2022 წ.- 20,889 ათასი ლარს). აღნიშნული ხელშეკრულებაში კომპანია ჩართულია თანამსესხებლის სტატუსით.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	462	36
სულ დავალანება:	462	36

გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელ ვალდებულებებში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული ავანსები (გამომუშავებული შემოსავალი - წინასწარ ანაზღაურებული სწავლის საფასური)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ერიცხება ავანსად მიღებული თანხები 9,455 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი-11,059 ათასი ლარი), რომელიც ბალანსის მიღებული ავანსის მუხლში არის წარმოდგენილი. წინასწარი გადახდები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100 % წარმოადგენს სტუდენტებისგან მიღებულ ავანსებს.

12. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2022-2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

13. სტუდენტების მომსახურებიდან მიღებული თანხები

	31.12.2023	31.12.2022
სწავლის საფასური	33,765	27,389
საგრანტო შემოსავლები	46	214
სხვა შემოსავალი	577	10
სულ შემოსავალი	34,388	27,613

14. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება და სხვა თვითღირებულების ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
ინგლისურენოვანი პერსონალის ანაზღაურება	(3,358)	(1,742)
ჰუმანიტარულ/სოციალურ მეცნ. ფაკულტეტის პერსონალთა ანაზღაურება	(178)	(205)
ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პერსონალთა ანაზღაურება	(165)	(139)
სტომატოლოგიური ფაკულტეტის დასაქმებულ პერსონალთა ანაზღაურება	(1,717)	(898)
აფილაცია მედიცინა	(213)	(174)
აფილაცია	(324)	(62)
პედაგოგთა სერტიფიცირება	(83)	(90)
სხვადასხვა პერსონალთა ანაზღაურება	-	(93)
ხელფასები და სხვა ბენეფიტები	(190)	(256)
ცვეთა და ამორტიზაცია	(288)	(197)
აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ხარჯი	(17)	(33)
სტუდენტური ღონისძიებების ხარჯები	(8)	(10)
სხვა ხარჯები	(17)	(7)
სულ	(6,558)	(3,906)

15. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	31.12.2023	31.12.2022
დასაქმებულთა ხელფასები და სხვა ბენეფიტები	(8,422)	(7,553)
შემენილი მომსახურებები	(651)	(823)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,534)	(1,073)
გუდვილის გაუფასურება	(264)	(470)
საექვო ვალების რეზერვი	(270)	(178)
აკრედიტაციისთვის გაწეული დანახარჯი	-	(185)
კომუნალური ხარჯი	(552)	(252)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(303)	(17)
სტუდენტური აქტივობებისთვის გაწეული დანახარჯი	-	(184)
საუნივერსიტეტო ღონისძიებებისთვის გაწეული დანახარჯი	(1,239)	(48)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(177)	(109)
საპროექტო და კვლევითი დანახარჯები	(125)	(86)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(51)	(130)
პროგრამული უზრუნველყოფის დანახარჯი	(32)	(49)
ლიცენზიების და სხვა მოსაკრებლის ხარჯი	(181)	(48)
რემონტის ხარჯი	(337)	(86)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(91)	(139)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	(14,229)	(11,430)

16. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
საშუამავლო მომსახურება (სტუდენტების მოზიდვა-ორგანიზება)	(2,763)	(1,826)
რეკლამის ხარჯი	(491)	(249)
ჟურნალის გამოშვების ხარჯი	(45)	(24)
დიზაინის და პროექტის ხარჯი	(9)	(8)
საიმიჯო ღონისძიების ხარჯი	(3)	(4)
სულ ხარჯები	(3,311)	(2,111)

17. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური შემოსავალი		
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი	1,197	1,242
შემოსავალი იჯარიდან	56	18
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე	1,531	662
სულ ფინანსური შემოსავალი:	2,784	1,922
ფინანსური ხარჯი	31.12.2023	31.12.2022
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ხარჯი	(1,554)	(1,876)
საპროცენტო ხარჯი	(209)	(474)
სულ ფინანსური ხარჯი:	(1,763)	(2,350)

18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღწევს ჯგუფს სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები. 2023-2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლო ან/და სააღსრულებო წარმოება არ ხორციელდება.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ჯგუფის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაცია

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, რომელში შესვლაც არადაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ, და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებით და მოცულობებით როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა დაკავშირებულ მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმება ის პირები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. კომპენსაცია მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (რომლებიც განსაზღვრულია 28-ე განყოფილებით - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურებას, რომელიც გადახდილია, გადასახდელია ან უზრუნველყოფილია საწარმოს მიერ, ან მისი სახელით (მაგალითად, მშობელი საწარმოს, ან აქციონერის მიერ), საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოიცავს ისეთი სახის ანაზღაურებასაც, რომელიც გადაიხდება მოცემული საწარმოს მშობელი საწარმოს სახელით, საწარმოსთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების

ოპერაციების ნაშთები

	31.12.2023	31.12.2022
დასაქმებულთა გასამრჯელო	895	437
სასესხო მოთხოვნა და მისაღები პროცენტები	4,428	4,116

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ხარჯად აღიარებული

	31.12.2023	31.12.2022
დასაქმებულთა გასამრჯელო	(1,696)	(744)

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 10 ნოემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ჯგუფმა გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდის სახით გაანაწილა 1,300 ათასი ლარი.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (ს/კ 201 954 956) (შემდგომში „ჯგუფი“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). ჯგუფის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., N 76, ჯგუფის რეგისტრაციის ნომერია: 2/4-2317 და საიდენტიფიკაციო კოდი: 201 954 956.

1. ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა:

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა 1999 წლის 27 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. ჯგუფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს ორი (ბაკალავრი და მაგისტრატურა) საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

ჯგუფის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. N 76. ჯგუფის რეგისტრაციის ნომერია: 2/4-2317 და საიდენტიფიკაციო კოდი: 201 954 956.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი, კომპანიის დირექტორი ლაშა კანდელაკიშვილი (პ/ნ 40001006991).

ჯგუფი შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა, რომლის კონსოლიდირებაც მოხდა:

ა) შპს „ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 2017 წლის 16 მარტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის ქ., N 17. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 199 469, კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელია შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

ბ) შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 1996 წლის 10 სექტემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ., N 13. საიდენტიფიკაციო კოდი: 212 677 094.

2018 წლის 02 ნოემბერს (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18189307) კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელი გახდა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

გ) შპს „ჯო ენის ჯგუფი“ დაფუძნებული 2011 წლის 23 მაისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ბაქოს ქ. N 2ა. საიდენტიფიკაციო კოდი: 404 400 395.

2023 წლის 26 აპრილს (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22050585) კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელი გახდა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

ჯგუფს ჰყავს მეკავშირე საწარმოებიც.

2. ჯგუფის განვითარების გეგმები:

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები: 1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება; 2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება; 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა; 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება; 5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება; 6. უნივერსიტეტის რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურობის ამაღლება.

3. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

ჯგუფს გააჩნია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეცნიერო კვლევითი პროექტები როგორც მედიცინის, ისე ბიზნეს და ტექნოლოგიური კვლევების მიმართულებით.

ჯგუფი მუდმივად მზარდია და განვითარებაზე ორიენტირებული: ინერგება ახალი პროგრამები, ზრდადია უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა (განსაკუთრებით ინგლისურენოვან მედიცინის პროგრამებზე), შესაბამისად იხვეწება ინფრასტრუქტურა, ეწყობა ახალი ლაბორატორია და სამედიცინო კაბინეტები.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე ჯგუფი დგას შემდეგი რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „ჯგუფი“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „ჯგუფის“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „ჯგუფის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „ჯგუფის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

„ჯგუფის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „ჯგუფის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას. შესაბამისად შემუშავებულია დოკუმენტი „ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების რისკების შეფასებისა და უწყვეტობის პოლიტიკა, პროცედურები და ბიზნესუწყვეტობის გეგმა“.

„ჯგუფის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „ჯგუფზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „ჯგუფს“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც სრულად იქნება ჩამოყალიბებული კომპეტენციის ჩარჩო.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ ფლობდა 5,454 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

ჯგუფს მინიმუმამდე აქვს დაყვანილი სავალუტო რისკი, ვინაიდან შემოსავლების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში და ასევე ბანკებიდან ნასესხები სახსრებიც იმავე ვალუტაშია. შესაბამისად სავალუტო რისკის დონე დაბალია და მართვადი.

ჯგუფის სესხები:

მიღებული სესხები მოხმარდა რამოდენიმე შენობის შესყიდვას და სარემონტო სამუშაოებს. 2023 წლის ბოლოს ჯგუფის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 12,197 ათას ლარს.

5. ჯგუფი არ ფლობს სხვა ჯგუფის აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.
6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2023 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 10.11.2024 წ.

პრეზიდენტი

ლაშა კანდელაკიშვილი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს "ევროპის უნივერსიტეტი" (ს/კ 201 954 956) (შემდგომში „ჯგუფი“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს). ჯგუფის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ., N 76, ჯგუფის რეგისტრაციის ნომერია: 2/4-2317 და საიდენტიფიკაციო კოდი: 201 954 956.

1. ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა:

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა 1999 წლის 27 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფი შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად. ჯგუფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს ორი (ბაკალავრი და მაგისტრატურა) საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

ჯგუფის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დ. გურამიშვილის გამზ. N 76. ჯგუფის რეგისტრაციის ნომერია: 2/4-2317 და საიდენტიფიკაციო კოდი: 201 954 956.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰყავს ერთპიროვნული მფლობელი და დამფუძნებელი, კომპანიის დირექტორი ლაშა კანდელაკიშვილი (პ/ნ 40001006991).

ჯგუფი შემდეგი საწარმოების შშობელი კომპანიაა, რომლის კონსოლიდირებაც მოხდა:

ა) შპს „ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 2017 წლის 16 მარტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის ქ., N 17. საიდენტიფიკაციო კოდი: 400 199 469, კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელია შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

ბ) შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ დაფუძნებული 1996 წლის 10 სექტემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ., N 13. საიდენტიფიკაციო კოდი: 212 677 094.

2018 წლის 02 ნოემბერს (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18189307) კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელი გახდა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

გ) შპს „ჯო ენის ჯგუფი“ დაფუძნებული 2011 წლის 23 მაისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ბაქოს ქ. N 2ა. საიდენტიფიკაციო კოდი: 404 400 395.

2023 წლის 26 აპრილს (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22050585) კომპანიის 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელი გახდა შპს „ევროპის უნივერსიტეტი“.

ჯგუფს ჰყავს მკავშირე საწარმოებიც.

2. ჯგუფის განვითარების გეგმები:

ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში სტრატეგიულ პრიორიტეტად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები: 1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება; 2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება; 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა; 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება; 5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება; 6. უნივერსიტეტის რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურობის ამაღლება.

3. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა:

ჯგუფს გააჩნია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეცნიერო კვლევითი პროექტები როგორც მედიცინის, ისე ბიზნეს და ტექნოლოგიური კვლევების მიმართულებით.

ჯგუფი მუდმივად მზარდია და განვითარებაზე ორიენტირებული: ინერგება ახალი პროგრამები, ზრდადია უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა (განსაკუთრებით ინგლისურენოვან მედიცინის პროგრამებზე), შესაბამისად იხვეწება ინფრასტრუქტურა, ეწყობა ახალი ლაბორატორია და სამედიცინო კაბინეტები.

4. ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე „ჯგუფი“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „ჯგუფი“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „ჯგუფის“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისთვის „ჯგუფის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „ჯგუფის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

„ჯგუფის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „ჯგუფის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას. შესაბამისად შემუშავებულია დოკუმენტი „ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების რისკების შეფასებისა და უწყვეტობის პოლიტიკა, პროცედურები და ბიზნესუწყვეტობის გეგმა“.

„ჯგუფის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „ჯგუფზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „ჯგუფს“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც სრულად იქნება ჩამოყალიბებული კომპეტენციის ჩარჩო.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ ფლობდა 5,454 ათასი ლარის ღირებულების ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

ჯგუფს მინიმუმამდე აქვს დაყვანილი სავალუტო რისკი, ვინაიდან შემოსავლების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში და ასევე ბანკებიდან ნასესხები სახსრებიც იმავე ვალუტაშია. შესაბამისად სავალუტო რისკის დონე დაბალია და მართვადი.

ჯგუფის სესხები:

მიღებული სესხები მოხმარდა რამოდენიმე შენობის შესყიდვას და სარემონტო სამუშაოებს. 2023 წლის ბოლოს ჯგუფის სასესხო ვალდებულების ნაშთი (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შეადგენს 12,197 ათას ლარს.

5. ჯგუფი არ ფლობს სხვა ჯგუფის აქციებს და არც საკუთარი აქციები აქვს გამოშვებული.
6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად გთხოვთ იხილოთ შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2023 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 10.11.2024 წ.

პრეზიდენტი



ლაშა კანდელაკიშვილი